შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (9.743)

30 ივლისი-6 აგვისტო 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ3.8

განათლების მინისტრი კახეთში პედაგოგებს შეხვდა

ქარსაფარი ზოლების აღდგენაზე ზრუნვა აუცილებელია

გვ. 3

გვ. 7

აგვისტოს ომის ანალიზი და რეალური საფრთხეების თავიდან აცილების გზები

როდის დასრულდება „გრაფიკი წყალზე“?!

გვ. 2

2 აგვისტოს, 19 საათზე, დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მოედანზე, გაიმართება სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“ სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის თვალსაჩინო წარმომადგენლები: დათო არჩვაძე,გია ნიკოლაძე, კვარტეტი „ჰანგები“, ნინო ძოწენიძე, ვერიკო ტურაშვილი, ნათია ქოროლლიშვილი, ანი სირაძე და მარი ტომარაძე. აგრეთვე დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვაჭთა ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“ გთხოვთ, მობრძანდეთ!

კვირიკობის დღესასწაულზე

გვ.8

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

საქართველოსთვის უპრეცედენტო მასშტაბის სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა იწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის 65 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კანადური და სლოვაკური ინვესტიცია განხორციელდება. პრემიერის თქმით, პროექტი საქართველოსთვის უპრეცედენტო მასშტაბის იქნება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოსახლეობის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

გიორგი კვირიკაშვილმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს მიმართა, მოიძებნოს საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის სწორი მოდელი, რათა, ერთი მხრივ, სერვისები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი იყოს და, მეორე მხრივ, ინფრასტრუქტურა ჯანსაღი ბიზნესმოდელით იმართებოდეს.

„სახელმწიფო ალბათ არ უნდა გახდეს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის კონკურენტი და უნდა მოიძებნოს სწორი პარტნიორობის მოდელი, რათა კონკურენტული გარემო არ დავაზიანოთ. ეს უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის და მნიშვნელოვანი იქნება, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ არ გავხდეთ ამ ინფრასტრუქტურის მმართველი“, - აღნიშნა პრემიერმა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ 2017 წელს, საქართველო არაერთ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას მასპინძლობს, მათ შორის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს რაგბიში და განხორციელებული ინვესტიცია ხელს შეუწყობს, როგორც ამ ღონისძიებების მაღალ დონეზე მასპინძლობას, ისე საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარებას.

ტარიელ ხეჩიკაშვილის ინფორმაციით, საქართველოში ერთობლივი შეკრებებისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით მეზობელი ქვეყნების ინტერესი საკმაოდ დიდია.

„ბოლო ოთხი წლის მანძილზე სხვადასხვა სპორტული ინფრასტრუქტურისა თუ ღონისძიების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა. ეს ქართული სპორტის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერაა. შესაბამისი შედეგიც გვაქვს - საქართველო პრაქტიკულად გახდა რეგიონული ცენტრი, სპორტული ღონისძიებების თვალსაზრისით“, - განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

როდის დასრულდება გრაფიკი წყალზე?!

22 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით მიმდებარე სამუშაოები დაათვალიერა. შეგახსენებთ, რომ დებეტის გაზრდის მიზნით ელიის ძირში სამუშაოები მიმდინარეობს. პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია - მოწყობილია სადრენაჟე სისტემა და წყალშემკრები აუზი. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოების მეორე ეტაპი, რომელიც გულისხმობს წყალსაქაჩი ტუმბოს და 3 კილომეტრიანი სადაწნეო მილის მოწყობას. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ელიის ძირას მოპოვებული დამატებითი წყალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ რეზერვუარს დაემატება და აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რაც დედოფლისწყაროს წყალმომარაგებაშია.

გაცნობებთ, რომ კომპანია NDS აწარმოებს ამ სამუშაოებს და იგი დასრულდება ოქტომბრის დასაწყისში.

გიორგი კვირიკაშვილი - მოწოდებული ვართ არჩევნები უმაღლესი სტანდარტებით ჩავატაროთ

„ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან პერიოდში ვიმყოფებით. ეს საპარლამენტო არჩევნები იქცა ჩვენი მდგრადი დემოკრატიის ტესტად და ყველანი მოწოდებული ვართ, ის უმაღლესი სტანდარტებით ჩავატაროთ“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ამბასადორიალი 2016“-ზე, საქართველოს დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას განაცხადა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ დაიხვეწა და გაცილებით გაუმჯობესდა კანონმდებლობა. ასევე, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ფიზიკური შეურაცხყოფისთვის სასჯელის გამკაცრებას ითვალისწინებს.

„ამ ყველაფრის მიზანია, მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ ისეთი ექსცესები, როგორიც იყო ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ უბანზე, ადგილობრივი არჩევნების დროს. ეს იყო ძალიან სამწუხარო ფაქტი და შესაბამისი რეაგირებაც მოჰყვა, თუმცა, გარკვეული პრევენციის როლიც ითამაშა მომავალი არჩევნებისთვის“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს ესაუბრა მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების დღის წესრიგის შესახებ, რომელიც განათლების სისტემის ძირეულ რეფორმას, ეკონომიკური რეფეორმების ბლოკს, მმართველობის რეფორმას და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას გულისხმობს.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს ელჩების როლს, მთავრობის რეფორმების გეგმის განხორციელების პროცესში და განაცხადა, რომ მათი ჩართულობა გადამწყვეტია.

„მიხარია, რომ საქართველოს ჰყავს ასეთი გამორჩეული დიპლომატიური კორპუსი, ბევრ თქვენგანს პირადად ვიცნობ და ვფიქრობ, დიპლომატიურ კორპუსში ასეთი ადამიანების ყოლა ნებისმიერი ქვეყნისთვის პატივი იქნებოდა“, - მიმართა პრემიერმა ქართველ დიპლომატებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზეც ისაუბრა.

შეხვედრა საქართველოს დიპლომატიურ კორპუსთან კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

უწყებათაშორისმა კომისიამ წინასაარჩევნო რეკომენდაციები გამოსცა

უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს რეკომენდაციებით მიმართავს.

კომისია პოლიტიკურმა პარტიებს მოუწოდებს გასცენ მკაფიო მითითება, რათა მათმა აქტივისტებმა თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება, კანდიდატებმა კი შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი.

ასევე, კომისია იძლევა რეკომენდაციას, „პოლიტიკურმა პარტიებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა გასცენ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებათ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან განთავსებაში ხელის შეშლა“.

„აუცილებელია, მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დროულად და ეფექტიანად გაატარონ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები“, - აღნიშნულია რეკომენდაციაში.

კომისია რეკომენდაციას აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც და მიმართავს: „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, რათა ადგილობრივ დონეზე თანაბარი პირობებით შეძლონ პოლიტიკურმა პარტიებმა მათი სააგიტაციო მასალის განთავსება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი“.

უწყებათაშორისი კომისია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის ბრძანებით შეიქმნა. მისი მიზანი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია, გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება და ამ გზით თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაა.

ყველაზე მაღალი სოფელი ევროპაში

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპაში ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებულ პუნქტში, ზღვის დონიდან 2345 მეტრზე — ეს სოფელი ბოჭორნაა, თუშეთში, გომეწრის ხეობაში. ბოჭორნა ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღალი სოფელი მას შემდეგ გახდა, რაც მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, იქ ერთადერთი მუდმივი მცხოვრები დაფიქსირდა. სოფელი 76 წლის ირაკლი ხვედაგურიძემ გააცოცხლა და მასშტაბური აღიარებაც მოუტანა.

1989 წლის ჩათვლით, ევროპაში ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტად ყაზბეგის მუნიციალიტეტში, თრუსოს ხეობაში მდებარე სოფელი რესი იყო მიჩნეული. რესი ზღვის დონიდან 2405 მეტრზეა. მას შემდეგ, რაც რესი მოსახლეობისგან დაიცალა, ევროპაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებად სვანეთის სოფელ უშგულს მოიხსენიებდნენ (მესტიის მუნიციპალიტეტი). ზღვის დონიდან უშგულის სიმაღლე 2060—დან 2200 მეტრამდე მერყეობს.

„ამჟამად უშგულში ზღვის დონიდან 2160 მეტრზე ცხოვრობს ადამიანი. ცოტა მაღალზეა ლამარიას ეკლესია, მაგრამ ეკლესია დასახლებულ პუნქტად არ ითვლება. რაც შეეხება სხვა ტერიტორიებს, მაგალითად, ხევსურეთში არის სოფელი ბაცალიგო, რომელიც თითქმის უშგულს უტოლდება, მაგრამ იქ შვიდი წელია მოსახლეობა აღარ არის. ასევე არის სოფელი ფარავანი — ჯავახეთში, რომელიც სულ რაღაც ათიოდე მეტრით ჩამოუვარდება უშგულის სიმაღლეს“, — ამბობს გეოგრაფი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი დვალაშვილი.

ზღვის დონიდან 2345 მეტრზეა თუშეთში, გომეწრის ხეობაში მდებარე სოფელი ბოჭორნა, სადაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მუდმივად აღარავინ ცხოვრობდა. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ბოჭორნაში მუდმივ მცხოვრებად დაფიქსირდა 76 წლის ირაკლი ხვედაგურიძე, თუშეთის ექიმი და იმავე წლის თვითმმართველობის არჩევნებშიც ხმა ბოჭორნაში მისცა.

„მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის დროს ბოჭორნას არც სოფლის სტატუსი ჰქონდა და იქ აღარავინ ცხოვრობდა. 2014 წელს კი ვითარება შეიცვალა. ბოჭორნაში დაფიქსირდა მუდმივად მცხოვრები პირი, ბატონი ირაკლი, რომელიც სოფელ უშგულის სიმაღლიდან დაახლოებით 150 მეტრით მაღლა ცხოვრობს. სოფლის რეალური სიმაღლის ნახვა შესაძლებელია როგორც ტოპოგრაფიული რუკების საშუალებით, აგრეთვე ჯიპიესის მონაცემებით“, — აღნიშნავს გეოგრაფი გიორგი დვალაშვილი.

მისივე თქმით, სოფელ ბოჭორნას სიმაღლე დაახლოებით 117 მეტრით აღემატება ავსტრალიის კონტინენტის ყველაზე მაღალ მწვერვალს კოსციუშკოს. მწვერვალის სიმაღლე ზღვის დონიდან 2 228 მეტრია.

„როგორც იქნა ეუვანი შეება ამ საქმეს და ბოჭორნა ევროპაში ყველაზე მაღალ სოფლად გამოცხადდა. შესაბამისი ბანერიც დაიდგა გიორგი დვალაშვილის და თქვენი მხარდაჭერით. ეს აღიარება გაზრდის სოფელ ბოჭორნას ცნობადობას, გომეწრის ხეობის მიმართ ინტერესს, შესაძლებლობას მოგვცემს თუშეთში უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ, სოფელი გაძლიერდეს, ხალხი დაბრუნდეს“, — ამბობს ირაკლი ხვედაგურიძე.

სოფელ ბოჭორნაში ორენოვანი საინფორმაციო დაფის დადგმა სამოქალაქო აქტივობების ცენტრის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი. სამოქალაქო აქტივობების ცენტრი აღმოსავლეთ — დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EdMI) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მაღალმთიან დასახლებებში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა“.

აფეთქებაზე მუქარის შემცველი პოსტის გამო 23 წლის პანკისელი ახალგაზრდა დააკავეს

„ხვალ, 12:30 საათზე, თბილისში ფეიერვერკი“, - ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებელი რომელმაც აფეთქების ფოტო ამ ტექსტით გამოაქვეყნა, დაკავებულია. პანკისის სათემო რადიო WAY-ის ინფორმაციით, სოფელ დუისში მცხოვრები 23 წლის ვ. ხ. 29 ივლისს, დუისის საზოგადოებრივ ცენტრში დააკავეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ფეისბუქში მუქარის შემცველი ტექსტისა და ფოტოს გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გამოძიებას კონტრტერორისტული ცენტრი აწარმოებს.

პოსტი თბილისში შესაძლო აფეთქებასთან დაკავშირებით ვ.ხ-მ 28 ივლისს, საღამოს გამოაქვეყნა. მუქარის შემცველი პოსტი ამ დროისთვის ხელმისაწვდომი აღარ არის. ვ. ხ-ს ატვირთული აქვს ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის თარხან ბათირაშვილის ორი ფოტო და ფეისბუქზე 37 მეგობარი ჰყავს, რომელთაგან რამდენიმეს მთავარ ფოტოდ „ისლამური სახელმწიფოს“ დროშა აქვს დაყენებული.პანკისის სათემო რადიოს ინფორმაციით, ვ. ხ. სოფელ დუისში მეუღლესთან და მშობლებთან ერთად ცხოვრობს.„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ყველა საჭირო ინფორმაციას ფლობს. სუს-ის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა მაშინვე დაიწყო გამოძიება, როგორც კი ინფორმაცია გავრცელდა. საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მოგვიანებით გაცნობებთ“, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ნინო გიორგობიანმა.

ქარსაფარი ზოლების აღდგენაზე ზრუნვა აუცილებელია

26 ივლისს დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტის გამგეობისა და GIZ-ის ორგანიზებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაწვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების პრევენციული სამოქმედო გეგმის წარმოდგენა-განხილვა გაიმართა. დღის წესრიგში იდგა ქარსაფარების შენარჩუნებისა და დაცვის, ასევე ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების საკითხი.

შეხვედრის დაწყებამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძემ, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელმძღვანელ ჰანს-იოაჰიმ ლიპმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსა და ფერმერებთან ერთად შირაქის ტერიტორიაზე ქარსაფარი ზოლები, ნაკვეთები დაათვალიერეს და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნენ.

ქარსაფარი ზოლების არსებობა მნიშვნელოვნად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. ფაქტია, რომ ქარსაფარი მოსავლის 30%-მდე დანაზოგს იძლევა, ამას გარდა, იგი საბინადრო ადგილია იმ ფრინველებისა თუ ცხოველებისთვის, რომლებიც მოსავლისთვის საშიშ, მავნე მღრღნელებზე ნადირობენ.

ღონისძიებაზე მყოფი პირების განცხადებით, ქარსაფარებს და სასოფლო-სამეურნეო მიწებს მოფრთხილება და დაცვა ესაჭიროება.მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, უსაფრთხოებისა და ხანძრების დროულად აცილების მიზნით, შირაქის ტერიტორიაზე მობილიზებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და ახმეტის რაიონის სახანძრო-სამაშველო სამსახური, რომელთაც დახმარებას სახანავი ტექნიკაც უწევს.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს მთავრობის, GIZ-ის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის რეგიონის ხელმძღვანელობის , ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ფერმერები ესწრებოდნენ, გაიმართა დისკუსია პრობლემის გადაჭრის გზების თაობაზე.

გამგებელმა თავის პრეზენტაციაში, რომელიც შექმნილი სიტუაციის ანალიზსა და გამოსავალს ეხებოდა, ყურადღება გაამახვილა ხანძრების ნეგატიურ შედეგებზე, ისაუბრა იმ კონკრეტულ ინიციატივებზე, რომლებიც სიტუაციას გამოასწორებს.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს გამგეობაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიომრავალფიროვნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის პრობლემების შესახებ მუშაობს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი და ადგილობრივი მოსახლეები ვალდებულნი არიან, იზრუნონ აღნიშნულ პრობლემებზე, რომელიც საყოველთაოა და არავითარ შემთხვევაში მხოლოდ მიწის მესაკუთრისა.

განათლების მინისტრი კახეთში პედაგოგებს შეხვდა

პედაგოგებთან შესახვედრად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ამჯერად, კახეთის რეგიონს ეწვია. ალექსანდრე ჯეჯელავამ პირველი სამუშაო შეხვედრა საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლაში საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ყველა საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან გამართა. შემდეგ კი მინისტრი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზის საჯარო სკოლას ეწვია. შეხვედრაში კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილიც მონაწილეობდა. ყვარელში სამუშაო შეხვედრას საჯარო სკოლების 400-მდე მასწავლებელი და დირექტორი დაესწრო. მინისტრმა ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრა და მასწავლებლების შეკითხვებსაც უპასუხა. ალექსანდრე ჯეჯელავა თავის ვრცელ სიტყვაში ზოგადი განათლების ბევრ მნიშვნელოვან თემას შეეხო, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე და იმ ინიციატივებზე, რაც სკოლას უფრო საინტერესოს და მიმზიდველს გახდის როგორც მოსწავლეებისთვის ისე, მასწავლებლებისთვის.

„უშუალოდ პედაგოგებთან შეხვედრები და რეგიონებში ჩასვლა ჩემი სამუშაო პროცესის ყველაზე საუკეთესო ნაწილია და ამას ყოველთვის სიამოვნებით ვაკეთებ. ყოველ ჯერზე ვრწმუნდები, რომ ჩვენი მასწავლებლები ყველაზე კარგი ხალხია, ყველაზე გულანთებული, ყველაზე საღად მოაზროვნე, აბსოლუტურად ყველაფერი აქვთ სწორად გააზრებული და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მათ ხელი შევუწყოთ როგორც ეკადრებათ და როგორც ეკუთვნით. ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ“ - აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

შეხვედრის შემდეგ პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ ახლადდანიშნული მინისტრის პოზიციის და განათლების სისტემის განვითარების ხედვის მოსმენა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მინისტრის ხედვა მოგვესმინა სასკოლო ცხოვრებას თუ მასწავლებლების პროფესიულ ზრდასთან დაკავშირებით. მაქსიმალური ინფორმაცია მივიღეთ ყველა იმ სიახლესთან დაკავშირებით, რომელსაც განათლების სამინისტრო უახლოეს მომავალში სასკოლო ცხოვრებაში განახორციელებს,“ - აღნიშნავდნენ პედაგოგები.

ილია მარტყოფლიშვილი

წელს მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალია

22 ივლისს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, კახეთის მხარის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ფერმერებს შეხვდნენ და შირაქის ველზე ხორბლის აღების პროცესს დაესწრნენ.

წინა წლებთან შედარებით, წელს თავთავიანი კულტურების რეკორდულად მაღალი მოსავალია. გაზრდილია როგორც ნათესი ფართობები, ასევე საჰექტარო მოსავლიანობა. შირაქის ველზე ხორბალი და ქერი 32 000 ჰა ფართობზე დაითესა. საშუალო მოსავლიანობამ დახლოებით 4 ტონა შეადგინა.

,,მიმდინარე წელს, მხოლოდ კახეთის რეგიონში 300 000 ტონაზე მეტ ხორბლისა და ქერის მოსავალს ელოდებიან, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ამ ეტაპზე, კახეთის რეგიონში 200 000 ტონამდე მოსავალი უკვე აღებულია. მოსავლის შეუფერხებლად აღების მიზნით მობილიზებულია 72 ერთეული ტექნიკა, აქედან შპს ,,მექანიზატორის'' 52 ერთეული და აზერბაიჯანიდან შემოყვანილი 20 ერთეული კომბაინი. სამუშაოებში აქტიურად არის ჩართული კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც", - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

კახეთის მხარის გუბერნატორის, ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც ნათესი ფართობების, ასევე ჰექტარზე მოსავლიანობის ზრდას.

„ბოლო ათწლეულების შემდეგ რეგიონში უპრეცედენტოდ უხვი მოსავალი დაფიქსირდა. მოსავლის შეუფერხებლად აღების უზრუნველყოფისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დამატებითი ტექნიკა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოიყვანა. ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება ჩვენ ფერმერებს მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ და დააბინაონ", - აღნიშნა კახეთის მხარის გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა.

ადგილობრივი ფერმერები აღნიშნავენ, რომ წელს მოსავალი საკმაოდ დიდია. უამინდობის გამო გარკვეულწილად შეფერხდა მოსავლის აღების სამუშაოების ჩატარება, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინსიტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, დროულად მოხდა საჭირო ტექნიკის მობილიზება.

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება. კარგი მოსავლით კმაყოფილები არიან დედოფლისწყაროელი მიწათმოქმედები, ახლა მთავარია,პროდუქციის სასურველ ფასში რეალიზაციაც შეძლონ, რათა დანახარჯიც აინაზღაურონ და მიწის დამუშავებაზეც დროულად იზრუნონ.

რას გულისხმობს მიწის უფასო რეგისტრაცია

მიწის რეგისტრაციის შესახებ კანონი პირველი აგვისტოდან სრულად ამოქმედდება. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტზე მუშაობისას გამოვლინდა ხელშემშლელი პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად სპეციალური კანონი მომზადდა.

იუსტიციის სამინისტროს ცნობითვე, ცვლილების მიხედვით, - სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები- დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია - უსასყიდლოდ შესრულდება. მიწის რეგისტრაცია ან ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილება საჯარო რეესტრის მომსახურების საფასურის გარეშე განხორციელდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმს მიწის გარკვეული ფართობის აზომვითი სამუშაოების დაფინანსებისათვის.

"შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი. პროექტში ჩართული ამზომველები სერტიფიცირებას გაივლიან. დღესდღეობით აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდება მიწის რეგისტრაციის ხელშემშლელი ფაქტორი. ე. წ. გადაფარვების არსებობის გამო, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, საჯარო რეესტრს 56 000-მდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა. პრობლემის მოგვარება კი, დღეს მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და დამატებითი რესურსის ხარჯვას ნიშნავს. ამ პრობლემების მიზეზი საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობაა – აზომვითი ნახაზების შედგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს. ხშირად საკადასტრო ნახაზები ოფისიდან გაუსვლელად სრულდება, რაც ცდომილების მიზეზი ხდება, აფერხებს მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს. სერტიფიცირებულ ამზომველს ეცოდინება, როგორ აზომოს საკუთრება ცდომილების გარეშე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს „გადაფარვებისა" და საკუთრებაზე სასამართლო დავის წარმოშობის რისკს; კვალიფიციური ამზომველის საქმიანობა კი მოთხოვნადი გახდება."- განმარტავენ იუსტიციის სამინისტროში.

უწყების ინფორმაციითვე, მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში სახელმწიფო დაეხმარება.

"დღესდღეობით მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი, საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა – სხვაგვარად, მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება. საბუთების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტების მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია. ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი – მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში, არასწორი დაწერილობა და სხვა – აღარ გახდება მიწის რეგისტრაციის ხელშემშლელი, თუკი

პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა. შ.) ერთმანეთს შეესაბამება."

ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზეც ისაუბრეს. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განმარტა, ამ დროისთვის საქართველოში მიწის მხოლოდ 25 პროცენტია დარეგისტრირებული. პრემიერის განცხადებით, აღნიშნული კანონი ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, მიწის ბაზრის მოწესრიგებას.

პრემიერის ინფორმაციით, დღესდღეობით მიწის მასის მხოლოდ 25% არის რეგისტრირებული, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან მოსახლეობა მათ მფლობელობაში არსებული მიწის კაპიტალიზაციას ვერ ახდენს.

„კერძო სექტორისთვის ზოგადად ეს არის ძალიან დიდი პრობლემა, ამიტომ კარგია, რომ მიწის რეგისტრაციის სისტემა მნიშვნელოვნად მარტივდება, სახელმწიფო ეხმარება მოსახლეობას რეგისტრაციის პროცესში, მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტებითაც და ვფიქრობ, რომ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ჩვენ გაცილებით უფრო ჯანსაღი სურათი გვექნება. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მეორე მხრივ, მიწის ბაზრის მოწესრიგებას. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ეს არის სოციალური საკითხიც, რადგან ჩვენი მოსახლეობის 50%-ზე მეტი დღესდღეობით ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობაში არის ჩართული. ვფიქრობთ, სოფლად მოსახლეობის დამაგრებისათვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა იუსტიციის სამინისტროს მოუწოდა, შექმნას მექანიზმები, რომელიც ყველანაირ რისკებს და კანონის ბოროტად გამოყენებას გამორიცხავს.

საპილოტე პროექტი მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის შესახებ 1 წლის განმავლობაში გაგრძელდება

გამორთე, შეამოწმე, დაამიწე



ბოლო პერიოდში ზედიზედ დაფიქსირდა ელექტროენერგიასთან გაუფრთხილებლობით პირადი სიცოცხლის ხელყოფის რამდენიმე ფაქტი. ერთი თვის წინ სოფელ ოზაანში ელექტროენერგიასთან გაუფრთხილებლობით 38 წლის ვასილ მეხრიშვილი გარდაიცვალა, ცოტა უფრო ადრე, ამავე სოფელში გიგა ფოცხვერაშვილი იმსხვერპლა ოჯახური ტექნიკის დაზიანებულმა სადენებმა, იმაზე ადრე სოფელ გამარჯვებაში იმსხვერპლა მცირეწლოვანი ბავშვი, რომლის ორგანიზმზეც დენმა სახლის საწვიმარ მილთან შეხებით გაიარა, ქედების ზონაში მოხდა ასეთი ფაქტი: ახალგაზრდა მამაკაცი სატვირთო ავტომანქანის ავზზე იყო ასული, ავტომანქანა იდგა მაღალი ძაბვის სადენების ქვეშ და სადენებთან ახლოს ყოფნის გამო, მამაკაცზე ელექტროენერგიამ გაიარა. ზემოთჩამოთვლილი ფაქტები შემზარავია, გულსატკენი და კიდევ ერთხელ გვაფიქრებს დენის საშიშროებაზე, იმაზე, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოიტანოს დენთან გაუფრთხილებლობამ. ამ და სხვა მძიმე ამბების გამო, ჩვენ შევეცადეთ ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ საჭიროა ელექტროენერგიასთან მეტი სიფრთხილის გამოჩენა და უსაფრთხოების ზომების დაცვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ **კახეთის ელექტროდისტრიბუციის დედოფლისწყაროს ფილიალის გამოცდილ სპეციალისტს** ვალერი ლალაიანს. ბატონმა ვალერიმ 1967 წელს დაამთავრა სოფელ წითელწყაროს სკოლა და ამავე წელს დაიწყო მუშაობა ელექტრომექანიკოსად წითელწყაროს ქვესადგურში. 1974 წელს ბაქოში დაამთავრა ენერგეტიკული ფაკულტეტი რელეური დაცვის განხრით, იმავე წლიდან ვალერი ლალაიანი მუშაობას განაგრძობს რუსთავის კარიერში მთავარი ენერგეტიკოსის თანამდებობაზე, სადაც 30 წელს გასტანს მისი შრომითი საქმიანობა, 2005 წლიდან დღემდე იგი კახეთის ელექტროდისტრიბუციაში უფროსი ელექტროშემკეთებელია და ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კადრია.

- ბატონო ვალერი, დავიწყოთ იქიდან, რა არის დენი?

- ელექტრული დენი ეწოდება დამუხტული ნაწილაკების მიმართულ მოძრაობას, ელექტრული ველის გავლენით. კონტექსტის მიხედვით, იგი შეიძლება აგრეთვე აღნიშნავდეს დენის ძალას. დენის გადამტანი ნაწილაკები შეიძლება იყვნენ ელექტრონები (გამტარებში), იონები (ელექტროლიტებში), ორივე მათგანი (პლაზმაში) ან ელექტრონები და ე.წ. ხვრელები (ნახევარგამტარებში).

- რა არის ფაზა?

-ფაზა ეს არის ცვლადი დენის წყარო, სადენი, რომელიც მიერთებულია ცვლადი დენის გენერატორთან, რომელიც ქმნის ელექტრონების რხევას – ისინი წამში 50-ჯერ (თუ 50 ჰც სიხშირის დენია, როგორც ჩვენი საყოფაცხოვრებო დენი) გარბიან გენერატორიდან იქით და მორბიან გენერატორისკენ. ნული ეს არის მეორე სადენი, რომლის ბოლო მიერთებულია ელექტრონების ძალიან დიდ და მასიურ რეზერვუართან, უმეტეს შემთხვევაში ეს არის დედამიწა, სადაც ყოველგვარი გენერატორების მიერ აღძრული რხევების ენერგია შთაინთქმება. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ენერგიის წყარო და ენერგიის შთანმთქმელი ობიექტი. რა თქმა უნდა, გვექმნება ენერგიის ნაკადი, რომელსაც თავის გზაზე შეუძლია შეასრულოს მუშაობა.

-რა ძირითადი წესები უნდა ვიცოდეთ, იმისთვის, რომ დენთან თავი უსაფრთოდ ვიგრძნოთ?

-პირველი, რაც უნდა ვიცოდეთ, გზაზე გავლისას, მოვერიდოთ დაბლა დაგდებულ სადენს, შეიძლება დაბლა დაგდებულ სადენში დენი გადიოდეს და ყველამ, დიდმა თუ პატარამ უნდა იცოდეს, რომ მოერიდოს მას. მეორე წესი, ბავშვი სახლიდან რომ გადის, უნდა იყოს ინფორმირებული, მაქსიმალურად მოშორებით გაიაროს სადენთან. მან უნდა იცოდეს, რომ არ იაროს ელექტრისადენების გაყვანილობის ქვედა ტროტუარზე, არამედ იაროს მარცხენა ტროტუარზე, სადაც ნაკლები რისკია, ელექტროსადენი ჩამოვარდეს და დაეცეს. განსაკუთრებით ეს გასათვალისწინებელია ქარიშხლის და წვიმის, ცუდი ამინდის დროს. კიდევ მინდა გითხრათ, არსებობს სატრანსფორმატორო პუნქტები ქალაქის ტერიტორიებზე, ამას ტრანსფორმატორი ჰქვია, ის ფაქტიურად დაკეტილია, მაგრამ მასში ძალიან საშიში ძაბვა გადის და გინდაც გამორთული იყოს და არ მუშაობდეს, ბავშვმა, დიდმა, თუ პატარამ, უნდა იცოდეს, რომ მოერიდოს და არ შეეხოს მას.

-ჩვენს ქუჩებზე, თითქმის ყველგან, ამორტიზებული ბოძებია, მათი გადავარდნის საშიშროება კარგ ამინდშიც არაა გამორიცხული.

-იცით, მოდით ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენი ქალაქის უსაფრთხოების პირობები ნაკლებია, ამას ვერ ვიტყვით სოფელ სამრეკლოზე და სოფელ ზემო მაჩხაანზე, სადაც სულ ახალი კაბელებითაა ელექტროსადენები გაყვანილი, მაგრამ ქალაქში ჯერ კიდევ გვაქვს დიდი პრობლემა, ვისურვებდი, მალე მოგვარებულიყო, თუმცა, ვიცით, რომ ამას ძალიან დიდი თანხები ესაჭიროება.

-ვთქვათ, დაეცა ადამიანს სადენი და მოხვდა ძაბვის ქვეშ,რას ვაკეთებთ უპირველესად?

-თუ ადამიანს დაეცა სადენი, რომელშიც დენი გადის და ის ძაბვის ქვეშაა მოქცეული, მაშინ უფროსმა ადამიანმა ელემენტარულად, თუ არის საშუალება, სადენი უნდა გამორთოს დენის წყაროდან, თუ არ არის საშუალება, მშრალი ნაჯახი უნდა აიღოს, რომ სადენი გადააგდოს განზე, გამოუძახოს სასწრაფოს, ელექტრომეურნეობის თანამშრომლებს და სასწრაფოს მოსვლამდე არ დაზოგოს თავი, ძაბვის ქვეშ მოხვედრილი ადამიანი დააწვინოს სწორ ადგილზე და გაუკეთოს ხელოვნური სუნთქვა. ეს ელემენტარული წესია, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს.

-რაც შეეხება შემდეგ მოწყობილობას, რამდენად საშიშია ეს ელექტრო მოწყობილობა?

-ე.წ. „სვარკა“ არის ყველაზე საშიში დანადგარი, რომელიც აქვს ადამიანს. ბევრს ჰგონია, ეს ელემენტარული სამუშაოა და ეიოლება, მაგრამ ის ძალიან საშიში აპარატია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი, კუსტარულად დამზადებულს ყველა ხელსაწყოს, ჩვენ ვკრძალავთ თუ გავიგებთ, მაშინვე ვაჩერებთ მის მოხმარებას ოჯახებში და ეს სწორიცაა. თუმცა, ის რაც ხდება ოჯახებში, თვითნებურად დენთან გაუფრთხილებლობა ან ასეთი საშიში მოწყობილობის მოხმარება, მასზე ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ, ვერც ვიმსჯელებთ, რადგან ეს ადამიანს საკუთარ ბინაში თავისი გაუფრთხილებლობით მოუვიდა და ჩვენ ამაზე დასკვნებს ვერ გავაკეთებთ.

- როცა ადამიანის სხეულში დენი გადის, რა ხდება ამ დროს?

-კუნთები იჭიმება, კუნთებს აქვს თვისება რომ იკეტება. ჩვენ ვიცით, რა მოხდა ოზაანის ბოლოდროინდელი ფაქტის შემთხვევაში, ამ ბიჭზე დენმა გაიარა სადენიდან, რომელიც კვებავდა შესადუღებელ აპარატს. შედუღების წრეში, რომელშიც ძაბვა არის, ის 36 ვოლტია, ის არა კლავს ადამიანს, ის ახალგაზრდა მოხვდა იმ პირველად ძაბვაზე, 220 ვოლტზე და ხელი მიწას რომ წაავლო, ძაბვამ გაიარა მის ორგანიზმზე. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სხეულის რომელ მხარეს გადის დენი, მარცხენაზე, თუ მარჯვენაზე, თუ გადის მარცხენა მხრიდან, ის ადგილზევე კლავს ადამიანს, რადგან მარცხნივ არის გული, თუ გადის მარჯვენა მხრიდან, ის გულს არ ხვდება და მაინცდამაინც ისეთი ძალა არა აქვს. გულზე როგორც გაივლის, იშვიათი ადამიანია, რომ გადარჩეს, არსებობს მეთოდები, ხელოვნური სუნთქვა, ყველაფერი, მაგრამ ათიდან ერთი თუ ამართლებს.

- როდის ხდება მოკლე ჩართვა და რა ზიანი შეიძლება გამოიწვიოს ამან?

- ვქთვათ, თქვენ სახლში აკეთებთ რაღაცას და ხელში ჩაგივარდათ ფაზა, ამავე დროს ნოლსაც შეეხეთ, იგივეა, გინდა ნულს შეეხეთ, გინდა მიწას, ორივე შემთხვევაში დენმა დაგარტყათ. ეს ძაბვა ორგანიზმის გავლით ეძებს მოკლე გზას, იმიტომ რომ ადამიანს კანის წინაღობა ძალიან მცირე აქვს, დენი ცდილობს პატარა წინაღობაზე გაიაროს. რაც ნაკლები წინაღობაა, მით უფრო მომაკვდინებელია ადამიანისთვის. შეიძლება ადამიანმა წაავლოს 220 ვოლტს და არაფერი მოუვიდეს, მშრალი ხელების, არაოფლინი ორგანიზმის პირობებში, მაგრამ ეს რისკია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ფეხსაცმელი გაცვიათ. კაპრონის ფეხსაცმელი იზოლაციას აკეთებს, კაპრონი არის პირველი დიელექტრიკი და არ ატარებს დენს. 10 000 ვოლტი, ეგ არის ძალიან საშიში, გარანტია არ არის, თუ როდის მოხდება გადაფარვა. ჩვენ სამსახურში გვაქვს დიელექტრიკული ხელთათმანები, დიელექტრიკული სპეციალური ბოტები და საფენები. საფენზე ვდგავართ ბოტებით და ხელებზე გვაქცია დიელექტრიკული ხელთათმანები, იქ შეიძლება ძაბვა არ იყოს, მაგრამ შეიძლება მოულოდნელად მოხდეს ფაქტი, რომ გადაფაროს. გარანტია არ არის, როცა გადაფარავს, იქ საშველი აღარ არის, თუ არ გაცვია დიელექტრიკული ხელთათმანები და ბოტები.

- ბავშვი სახლში მარტო დავტოვეთ, არაა გამორიცხული, რომ ის ელექტროენერგიას შეეხოს და რაიმე ზიანი მოუტანოს თავს. როგორია სიფრთხილის ზომები?

- ევროპაში ასეთი წესია, ნებისმიერი ჩამრთველი არის ბლოკირებული, იქ ბავშვი ვერც ლურსმანს შეურჭვავს და ვერც სხვა ნივთს. ზოგადად, ვიდრე ორივე ერთად არ შედის ჩამრთველში, იქ ვერანაირად ვერ იქნება ძაბვასთან კავშირში. უმჯობესია, ჩამრთველები ისეთ სიმაღლეზე დავაყენოთ, რომ ბავშვი ვერ მისწვდეს. ელემენტარული ავიღოთ, თქვენ სახლში ხმარობთ თმის საშრობს, მადუღარას, ისინიც არის ჩვეულებრივი გადამტანი, თუ არაა დამიწებული. როცა ჩვენ მივდივართ უბანზე, ვცდილობთ, დავამიწოთ ის აპარატურა, რომელიც სახლში იმუშავებს, ეს გახლავთ ევროსტანდარტის აპარატურა, რომელსაც აქვს მესამე სადენი, რომელიც უნდა დამიწდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ დროს, შეიძლება ამ ნივთების მოხმარების დროს დენი გადავიდეს. ამიტომ მესამე ფაზა უნდა იყოს დამიწებული, რომ გადარჩეთ. მე მოგიწოდებთ, დამიწება უნდა სარეცხის მანქანას, თანამედროვე ტელევიზორს, უთოს და ყველა ელექტრულ ნივთს.

-ვთქვათ, სარეცხი მანქანა ჩართულია, ვიღებთ გარეცხილ სარეცს და ხელებზე გვწიწკნის, რა არის ეს?

-თუ თქვენ ამ დროს დგახართ კაფელზე, რომელიც ნესტის მოყვარულია, თავისებურად, აუცილებლად გადაიტანს, ამიტომ ყოველთვის სჯობია ან დამიწებული ტექნიკა იქონიოთ, ანდა დენის წყაროდან გამორთოთ და ისე შეეხოთ. ამ შემთვევაში თქვენ ხართ დაცული.

-საკმაოდ სარისკოა ელექტრიკოსის სამუშაო, ნებისმიერ დროს შეიძლება მსხვერპლით დასრულდეს თქვენი მუშაობა, თავად როგორ იცავთ თავს?

-როცა მივდივართ უბანზე, ვუთითებთ, არავითარი კომპრომისი, არ წახვიდეთ უბანზე დამიწების გარეშე, დასამიწებელია უბანი?- ძალიან კარგად იცით, როგორ უნდა დამიწდეს, უნდა ვუთხრათ მფლობელებს, რომ უსაფრთოების მიზნით საშიშია თქვენი სარეცხის მანქანა და ის აგრეგატები, რაც სველ წერტილებს მოიცავს. ჩვენ გვაქვს წესი, სანამ ჩართავ აპარატურას, უნდა დარწმუნდე, რომ სადენი მთლიანია, არსად არ არის დაზიანება, იზოლაცია მოვახდინოთ ყველაფრის და ისე დავიწყოთ საქმე.... და კიდევ, ჩვენს სისტემაში არსებობს სამი ოქროს წესი: 1- გამორთე, 2- შეამოწმე ძაბვის არარსებობა, 3- დაამიწე! -ეს ყველა ადამიანმა უნდა გაივალისწინოს, ვინც იმ დღით დენის მოწყობილობასთან აპირებს მუშაობას.

ლალი მეხრიშვილი

აგვისტოს ომის ანალიზი და რეალური საფრთხეების თავიდან აცილების გზები

გვიახლოვდება აგვისტოს თვე, რომლიც ყველა ქართველის გულში თავისთავად ასოცირდება 2008 წლის ხუთდღიან ომთან, რომელმაც სერიოზული დაღი დაასვა ჩვენს ქვეყანას როგორც ეკონომიკურად, ისე მორალურად. რთულია გავიხსენოთ ის მძიმე დღეები, რომლიდანაც ერთდროულად ტყვიამფრქვევების სროლის, დაჭრილი ვაჭკაცების ღრიალის, დედის ტირილის, კვამლის, ცეცხლის და საქართველოს გადათელილი ტერიტორიების ემოციები თუ შეგრძნებები მოდის, თითოეულ ჩვენგანს ხელახლა გვიხსნის იმ ჭრილობებს, რომელიც მაშინ ჩვენი გმირი ვაჭკაცების გარდაცვალებით და წამებით განვიცადეთ.

აგვისტოს ომის, ჩვენს მეზობელ თურქეთში განვითარებული ამბების და ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნების საკითხებზე „შირაქი“ **სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელს** – ბატონ მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

-ბატონო მამუკა, დღეს როგორ შეფასებას მისცემდით 2008 წლის აგვისტოს ომს, რა იყო ეს, რას ემასახურებოდა და ვის ინტერესში შედიოდა ის ავადსახსენებელი ხუთდღიანი კოშმარი საქართველოში?

-2008 წლის აგვისტოს ომი, რა თქმა უნდა, სააკაშვილმა და რუსეთმა დაიწყეს, ეს მათ ინტერესებში შედიოდა და კიდევ სხვა გარე ძალების ინტერესებშიც. ამით სააკაშვილმა სერიოზული დივიდენდები მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, განსაკუთღებით თეთრი სახლიდან, მისი მიზანიც ეს გახლდათ. ასევე მოგებული დარჩა რუსეთიც, რომელმაც საკმაოდ სერიოზული ტერიტორიები მიიღო ამ ომიდან.

- ვის გულისხმობთ სხვა გარე ძალებში?

- გარე ძალებში, რა თქმა უნდა, მე თეთრ სახლს არ ვგულისხმობ, მაგრამ საქართველოს ესკალაცია არაერთ გარე ძალებს აწყობდა, მათ შორის მუსლიმანურ სამყაროსაც, ჩვენ გვესაზღვრება სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელი ქვეყნები, რომელთა ინტერესში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის დასუსტება, ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად იქნება შესული.მითუმეტეს, დღეს ვიცით, რა სიტუაციაა მსოფლიოში, ეს ინტერესები 2008 წელშიც იდგა მათი დღის წესრიგში.

-იქნებ გვითხრათ დაზუსტებით, დღევანდელი ტერიტორიების რა ფართობი გვაქვს დაკარგული, თუ გველოდება კვლავ საფრთხე და რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოს ხელისუფლებამ, რათა არ გაგრძლდეს ტერიტორიების დაკარგის პროცესი?

-დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიების 20 % ოკუპირებულია, ეს მთლიანობაში გახლავთ 100-ზე მეტი სოფელი, რომელიც უკვე ჩვენი აღარ არის. ამჟამად საფრთხე ჯერ-ჯერობით აღარ არსებობს, რადგან ახლა მსოფლიოში არც ისე სახარბიელო სიტუაციაა, საქართველოს სამხრეთით თურქეთის სიტუაციებს ვგულისხმობ, ვიცით ჩვენ, რაც ხდება თურქეთში. ამჟამად არსებული სიტუაცია ხელს არ მოუმართავს რუსეთს, საქართველოსთან მიმართებაში რაიმე განახორციელოს, მით უმეტეს, რუსეთმა უკვე მიიღო საქართველოსგან ის, რაც უნდოდა, მას ჯარის განლაგებაზე ჰქონდა პრეტენზიები და მიიღო კიდეც საქართველოს ტერიტორიების 20 %, სადაც საჯარისო ნაწილები საკმაოდ კარგად ჰყავს განლაგებული. ეს უნდოდა და ეს მიიღო, ამიტომ ახლა დუმილის სიტუაციაში იქნება და ასეც აწყობს.

- რას მოასწავებს თურქეთში განვითარებული მოვლენები, რა ჩანაფიქრი აქვს მსოფლიო ლიდერებს და რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ იმისათვის, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოს?

-თურქეთში სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა და ერდოღანის გადადგომა სურდათ, თუმცა, ეს ვერ მოხერხდა, ახლა ერდოღანი თანდათან იმაგრებს პოზიციებს და დამნაშავეებს დღითიდღე აპატიმრებს, თუმცა, სადამდე მივა ეს სიტუაცია და რა აქვთ ჩაფიქრებული მსოფლიო ლიდერებს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ნებისმიერისთვის. სიმშვიდის შენარჩუნებას რაც შეეხება, მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია გააკონტროლოს და სიმშვიდე შეინარჩუნოს.

-რა საფრთხეები არსებობს სერიოზული და არგუმენტირებული მოსაზრება იმის, რომ ისლამის რელიგია მთელს მსოფლიოს წალეკავს, თქვენი აზრი მაინტერესებს, ეს საფრთხე მართლაც მოსალოდნელია თუ არა და რა ბედი გველის ამ შემთხვევაში ქრისტიან ერებს?

-კი, ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს და ვიცით, რომ უკვე დაწყებულია ისლამისტური რელიგიის ომი მთელს მსოფლიოში საბატონოდ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს რელიგიური კუთხით რუსეთის გარდა, (რომელიც ასევე ჩვენთვის ყველაზე დიდი მტერია),დანარჩენი ყველა მუსლიმანური და სხვა რელიგიის(ვგულისხმოგ სომხების გრიგორიანელობას) ქვეყნები ესაზღვრება, რომელთა მოსახლეობის რიცხვი მთლიანობაში ნახევარ მილიონამდე აღწევს, არაბეთსაც ვგულისხმოგ, რა თქმა უნდა. ნახევარ მილიონიანი არაბობს, იმის, რომ მეზობელ თურქეთში არსებული დაძაბული სიტუაცია ჩვენს ეკონომიკას შეეხება და დააზარალებს?

-რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ეს არის სერიოზული ბაზრის და ეკონომიკური პარტნიორის ხელიდან გამოცლა. თურქეთში არსებული კრიზისი, საქართველოს აუცილებლად დააზარალებს, როგორც ეკონომიურად, ასევე სხვადასხვა თვალსაზრისითაც. ეს გარდაუვალი იქნება. იქიდან ველარ შემოვა პროდუქტი, საქონელი ისე, როგორც აქამდე და ეს სერიოზულ კრიზისს შექმნის, დასუსტებული მეზობელი, ცხადია, თავის კეთილისმსურველ მეზობელსაც ასუსტებს. ჩვენ თურქეთთან კარგი, ეკონომიკურად კარგად აწყობილი სიტუაცია გვქონდა და მისი დასუსტება ჩვენ არ გვაწყობს.

- არსებობს სერიოზული და არგუმენტირებული მოსაზრება იმის, რომ ისლამის რელიგია მთელს მსოფლიოს წალეკავს, თქვენი აზრი მაინტერესებს, ეს საფრთხე მართლაც მოსალოდნელია თუ არა და რა ბედი გველის ამ შემთხვევაში ქრისტიან ერებს?

-კი, ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს და ვიცით, რომ უკვე დაწყებულია ისლამისტური რელიგიის ომი მთელს მსოფლიოში საბატონოდ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს რელიგიური კუთხით რუსეთის გარდა, (რომელიც ასევე ჩვენთვის ყველაზე დიდი მტერია),დანარჩენი ყველა მუსლიმანური და სხვა რელიგიის(ვგულისხმოგ სომხების გრიგორიანელობას) ქვეყნები ესაზღვრება, რომელთა მოსახლეობის რიცხვი მთლიანობაში ნახევარ მილიონამდე აღწევს, არაბეთსაც ვგულისხმოგ, რა თქმა უნდა. ნახევარ მილიონიანი არაქრისტიანული სამყაროს გარემოცვაში ყოფნა და საკუთარი იდენტურობის შენარჩუნება, მოგეხსენებათ ადვილი შესანარჩუნებელი არაა, ფაქტიურად გშთანთქავენ თუ მოინდომეს, ნახევარი მილიონი მცირე რაოდენობა არაა. ამიტომ ისლამისტურ, თუ სხვა რელიგიებს, რომლებიც საქართველოში იკიდებენ ფეხს, აგრესიით კი არ უნდა შევხვდეთ, პირიქით, ყველა თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რათა არ მოხდეს ვითარების ესკალაცია, დაპირისპირება, შუღლი. მე მიმაჩნია და სწორიცაა, რომ ყველა რელიგიას მშვიდად შევხვდეთ , კარი გავუღოთ და თავად ისინი დაარეგულირებენ ერთმანეთში სიტუაციას, თავადვე, ჩვენს ჩაურევლად მოახდენენ ერთმანეთის კონფისკაციას. ჩვენ დავინახეთ მონოპოლისტური რელიგიის წარმომადგენლებმა როგორ დაუშალეს და არ ააშენებინეს მეჩეთი თავიანთი ტაძრის მახლობლად მუსლიმებს.

- რა სცენარის განვითარებას უნდა ველოდოთ შემოდგომის არჩევნების შემდგომ საქართველოს როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკურ ვითარებაში და რა საიმედო ესკიზს მოხაზავთ?

- ვფიქრობ, ყოველ შემთხვევაში, იმედი მინდა ვიქონიო, რომ არჩევნები მშვიდობიანად და დემოკრატიული პრინციპების გათალისწინებით ჩაივლის და საგარეო პოლიტიკაშიც გვექნება წინსვლა. ყოველ შეთხვევაში მჯერა, რომ მთავრობის დღევანდელ ლიდერებს ეყოფათ იმის გამჭრიახობა, რომ სრული სიმშვიდეც შეინარჩუნონ და ჭკვიანური გათვლების შემთხვევაში, დასავლეთის კეთილგანწყობაც კიდევ უფრო გაზარდონ საქართველოს მიმართ.

ლალი მეხრიშვილი

ზაფხული და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ზაფხულში სიცხის დადგომასთან ერთად თავს იჩენს რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რაც ადამიანებს უსიამოვნო შეგრძნებებს უჩენს. ამ პრობლემების დასაძლევად სასარგებლო რჩევებს შემოგთავაზებთ, რომლებსაც ხალხური მედიცინა გვთავაზობს.

„№1 პრობლემა — ორგანიზმის გადახურება—გადაცხელება (მზის დაკვრა). ზაფხულში ზედმეტად მზეზე სიარული ორგანიზმს უქმნის ბევრ პრობლემას (განსაკუთრებით შუადღის საათებში, როდესაც მზე ზენიტშია), რაც ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის გამოყოფაში გამოიხატება. აუცილებელია დღეში საშუალოდ 2 ლიტრი წყლის მიღება, რათა ორგანიზმი არ გამოშრეს. ხშირად თავს იჩენს ხელ—ფეხის დასიებაც, რაც გამოწვეულია სისხლძარღვთა გაფართოებით. ამ დროს სასარგებლოა ოთახის ტემპერატურის ზღვის მარილის ვანები. კარგია წყლის გადავლება დღეში ერთხელ. კანის გამოშრობა ორგანიზმში სითხის დეფიციტიდან მომდინარეობს.

№2 პრობლემა — კუჭ—ნაწლავის პრობლემა, რომელიც ფაღარათითაა გამოხატული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ხილის დიდი რაოდენობით მიღება. უმჯობესი იქნება, თუ ხილსა და ბოსტნეულს გამდინარე წლით საგულდაგულოდ გარეცხავთ. ფაღარათის ერთ—ერთი მიზეზი შეიძლება საკვები პროდუქტი იყოს. შეეცადეთ, ნაყიდ პროდუქტს ვადა შეუმოწმოთ ან მისი შენახვის პირობები გაითვალისწინოთ. ამ დროს კარგია გვირილის ან კალენდულას ჩაის მიღება დღეში 3—ჯერ მაინც, სასარგებლოა პიტნის ჩაიც. თუ ფაღარათი დიდხანს გაგრძელდა, ამ შემთხვევაში იღებენ ბროწეულის ქერქის ნახარშს, ასევე ნედლი კაკლის (არაყზე დამზადებული) ნაყენს. აღსანიშნავია, რომ ოდითგანვე სიცხის დროს და ზაფხულის პერიოდში იყენებენ შეციებულ მაწონს ან დოს. ისინი იცავენ კუჭ—ნაწლავს მავნე ბაქტერიებისგან.

№ 3 პრობლემა — გარუჯვა, რაც ხშირად კანის გამოშრობითა და დაწვით მთავრდება. კანის დაწვა რომ აიცილოთ, ნუ მიიღებთ მზის ვანებს განსაკუთრებით დილის 12 საათის შემდეგ. ეს პროცესი არც კანს და არც ორგანიზმს არ უხდება. დამწვარ კანზე კარგია გაწურული მაწვნის წასმა.

რამდენიმე წუთით, შემდეგ ჩამოიბანეთ. თუ არ გსურთ, რომ სახეზე მზე მოგეკიდოთ, აიღეთ მოხარშული კვერცხის გული, დაიდეთ ხელის გულზე და კარგად შეიზილეთ სახის კანში, როდესაც კვერცხი სახეზე შეგახმებათ, სახე თბილი წყლითა და საპნით ჩამოიბანეთ.

ფერიმჭამელების — ყვითელი და რუხი ლაქების მოსაცილებლად კარგია მოამზადოთ ხსნარი: 3 წილი ახალი ძროხის რძისა და 1 წილი ნატურალური ღვინის სპირტის ნარევი დაძინებამდე, ყოველ საღამოს შეიზილეთ სახეზე ან ტანზე. ალერგიული გამონაყარის დროს კარგია ჩერედას (ორკბილას) ნახარში ან კაკლის ფოთლის ნახარშის გადავლება ბანაობის შემდეგ.

№ 4 პრობლემა — მწერების ნაკბენები. კოღოს ნაკბენზე წაისვით სოდიანი წყალი ან ახლადმოჭრილი ალოეს წვენი. ფუტკრის ნაკბენზე — ვაშლის წვენი, ვალიდოლი ან გაჭრილი ნიორი წაისვით. კარგია, თუ ზაფხულის ცხელ დღეებში თვალებს დაიბანთ დღეში რამდენჯერმე ჩვეულებრივი ონკანის წყლით. ის ხსნის თვალის გადაღლილობას და გამოდენის ზედმეტ მტვერს თვალებიდან.

№ 5 პრობლემა — ოფლიანობა. ზედმეტი ოფლიანობის ასაცილებლად, ოფლიანი ადგილები დღეში რამდენჯერმე დაიბანეთ მუხის ქერქის ნახარშით, სოდიანი წყლით ან ვაშლის ძმრის წყლიანი ნარევით.

№6 პრობლემა — დახეთქილი ქუსლები. ყოველ საღამოს ფეხები ჩაალაგეთ 10—15 წუთი სოდიან წყალში. შემდეგ კარგად გაიხეხეთ და წაისვით მცირე რაოდენობის თხის ქონი. ეს პროცედურა გაიმეორეთ სანამ არ მიიღბთ სასურველ შედეგს.

გამოსათხოვარი

თინა ფავლენიშვილი

დედოფლისწყაროს ინტელიგენციას კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა. 92 წლის ასაკში ჩვენგან წავიდა გაზეთ „შირაქის“ ყოფილი თანამშრომელი, ჟურნალისტი თინა ფავლენიშვილი. ქალბატონი თინა იყო ერთ-ერთი გამორჩეული კოლეგა, რომელიც ერთნაირად უყვარდათ ძველ თუ ახალ თანამშრომლებს. ის იყო კარგი სპეციალისტი და საუკეთესო ადამიანი. შრომითი საქმიანობის დიდი გზა გაიარა: სპეციალობით იურისტს სად არ მოუწია საქმიანობამ – რაიონულ სასამართლოში, სოციალური დაცვის სამსახურში, კულტურის განყოფილებაში, როგორც კულტურის სახლის დირექტორს და მსახიობს. გამორჩეული იყო მის მიერ შესრულებული როლები, რომელიც ძველ თაობებს ახლაც კი ახსოვთ. კონტაქტური და თბილი ადამიანი იყო. მისი ცხოვრება სავსე იყო ბევრი ტკივილით და ცოტა სიხარულით. მაინც მხნეს და ხალისიანს კურიოზები მუდამ თან სდევდა. უზომოდ უყვარდა ადამიანები და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ტელეფონით ეხმიანებოდა საზოგადოებას. უშვილძიროს ძმისშვილებმა და დისშვილებმა, მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა უპატრობეს და ღირსეულად გააცილეს საბოლოო გზაზე. ნათელში იყოს მისი სული. მუდამ გვემახსოვრება სიყვარულით გამთბარი მისი პიროვნება.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის და სტამბის ძველი და ახალი თანამშრომლები.

ჩემო თინანო, ჩემო ძვირფასო ადამიანო, ეს ბოლო სურათია შენი, რომელიც მე გადაგიღე 2015 წლის 3 დეკემბერს წნორის მოხუცთა პანსიონში რომ მიგიყვანე. როგორ გიხაროდა, შენს გარშემო შენი ასაკის ადამიანები რომ დაინახე. ჩვეულებისამებრ, ხუთი წუთიც კი არ დაგჭირდა, მათთან კონტაქტის დასამყარებლად. ცალკე „კუპეში“ მოგათავსებენ-მეთქი, შეგთავაზე, გადაირიე, რას ამბობ, სიმარტოვეს გამოვექეცი ჩემი სახლიდან, ხალხი მენატრებაო და ექვსსაწოლიან ოთახში სიამოვნებით დაბინავდი. ერთი კვირის თავზე, როცა მოგაკითხე, უკვე ყველას გული „მონადირებული“ გქონდა – ხელმძღვანელობის, მომვლელი პერსონალის, ბენეფიციარების. ასეთი იყავი, ვერ გაგტეხა ცხოვრების ქარბორბალამ, რომელიც არაერთხელ დატრიალდა შენს თავზე. რა არ გადაიტანე: მეშვიდე შვილი იყავი შენი მშობლების და ყელაზე ბოლოს შენ წახვედი. ამიტომ ყველას ჭირისუფალი და დამტირებელი შენ იყავ. ხანდახან შავის გამოცვლას დაფერადი ტანსაცმლის ჩაცმასაც კი ვერ ასწრებდი. მეუღლის მხრიდანაც სამი მაზლი გყავდა. მათი ტკივილი შენი ტკივილი იყო. სულ კუბოს ძირში ვზივარო-იტყოდი ხოლმე გულდაწყვეტით. ხანგრძლივი სიცოცხლე გიბოძა უფალმა, მაგრამ გაუხარელი - სამგზის ფეხმძიმობის მიუხედავად უშვილოდ დარჩენილმა ვინ არ გამოზარდე, მრავალშვილიანი დედის ტიტული გერგებოდა, იმდენი დიშვილ-ძმისშვილები, მაზლისშვილები და მათი შვილები გაზარდე. 70 წელს მიღწეულსაც ისევ სასკოლო ჩანთა გეჭირა ხელში და ერთდროულად რამდენიმე მოზარდს ემსახურებოდი. სამსახურიც, სადაც შენ ყველას ძალიან უყვარდი და გითანაგრძნობდა, მათი გულისთვის დათმე. თუმცა, სიბერის წლები მაინც სიმარტოვეში გაატარე, ბევრი იტანჯე, მადლობა უფალს, ბოლოს მაინც დაგიფასდა ამაგი - შენმა ძმისშვილმა მზია ფავლენიშვილმა და დისშვილიშვილმა აკაკი ინაშვილმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ადამიანურად გაგეტარებინა სიცოცხლის ბოლო თვეები და უპატრონოდ არ დაგელია სული. ყველას ძალიან დააკლდები, მათ შორის მეც, შენ იყავ ჩემი დედაც, დაც, მეგობარიც, შენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, შენ ჩემი და მე შენი უსიტყვოდ გესმოდა. გული დამწყდა და სული დამიცარიელდა შენი წასვლით, ჩემო ძვირფასო. ვინღა დამირეკავს ყოველდღე და ვინღა მეტყვის: - მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო შვილოო. არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი უსაზღვრო წუხილი, სიტყვები არ მყოფნის. შენ ყველა გიყვარდა, ჰუმანური და კაცთმოყვარე იყავ. ყოველ წელს გილოცავდით დაბადების დღეს შენი „შირაქელები“. ბოლო 22 ივნისი ვეღარ აღვნიშნეთ ერთად. დასრულდა შენი ტანჯული ცხოვრება, რომელსაც შენ არ ემორჩილებოდი და.. შესაშური იყო შენი სიმხნევე, ღმერთმა სიყვარულის დიდი უნარით დაგაჯილდოვა და თან წაიღე სამაგიერო ზღვა სიყვარული. მართალია, ხალხმრავალი პროცესია არ მიგაცილებდა საბოლოო გზაზე, მაგრამ სამაგიეროდ არ გაკლდა გულწრფელი ცრემლი და სინანული შენთან განშორების გამო. იყავ ნათელში, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მშვიდობით, ძვირფასო ქალბატონო, შენს სახელს არდავიწყების ნათელი ადგას.

შენი ნაირა გორაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყება ღვაწლმოსილი ჟურნალისტის

თინა ფავლენიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ახლობლებს.

უახლოესი მეზობლები: გოგიტა ტოკლიკიშვილი, შენგელი ნატროშვილი, ნოდარ ნიკოლეიშვილი, მზია მენთეშაშვილი, ესმა რობიტაშვილი, გურამ ყაზაროვი, ზურაბ დავითაშვილი, გოჩა ყოჩიაშვილი, გია ჩუთლაშვილი ოჯახებით იუწყებიან

თინა ფავლენიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ახლობლებს.

მეზობლები: ნელი კოვზირიძე, თინათინ მურვანიძე, გულო ალუღიშვილი, მარინა გონაშვილი, გალინა ოსიპოვი თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ და ნაირა გომელაურების ოჯახებს მამის

გიორგი გომცაურის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ელენე ბაიაშვილს მამამთილის

გიორგი გომელაურის

გარდაცვალების გამო.

კვირიკოზის დღესასწაულზე

28 ივლისს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა მოწამეთა - კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღეს აღნიშნავს. საქართველოში მათი სახელობის უამრავი ტაძარია აშენებული. ქრისტიანები კვირიკესა და ივლიტას ოჯახურ ბედნიერებასა და სნეულ ყრმათა განკურნებას შესთხოვენ.

ამ წმინდანების სახელობის გვიანი შუა საუკუნეების ტაძარი დედოფლისწყაროს სოფელ არბოშიკში მოქმედებს. ამასთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში სადღესასწაულო ღვთისმსახურება ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ აღავლინა. წირვას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი დაესწრნენ.

„ვინაიდან ჩვენს ეპარქიას აქვს ამ წმინდანების სახელობის მოქმედი ტაძარი, ამიტომ სადღესასწაულო წირვა ლოცვა სწორედ არბოშიკში შესრულდა. წმინდა კვირიკე და ივლიტა განსაკუთრებით პატივსაცემი წმინდანებია ჩვენს ქვეყანაში და დიდი სიხარულით ზეიმობენ ამ დღეს. მინდა სრულიად საქართველოს მივულოცო ეს დღე, განსაკუთრებით კი სოფელ არბოშიკის მაცხოვრებლებს და ჩვენს მრევლს," - აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

ამავე დღეს საკმაოდ ლამაზი კონცერტი გაიმართა არბოშიკის კულტურის სახლის სცენაზე, რომელიც მრავალი წელია აღარ ახმაურებულა. ღონისძიების იდეა წარმოშობით არბოშიკელ მუსიკოსს, ანსამბლ „ჩვენებურების" წევრს სოლომონ გოგაშვილს ეკუთვნის. მან ჯერ კიდევ თებერვალში, თოქშოუ „დედოფლისწყაროს საათში" სტუმრობისას აღნიშნა, რომ მისი ოცნებაა, სოფლის კულტურის სახლები ახმაურდეს და სოფლები გამოაცოცხლოს. მან ისიც აღნიშნა, რომ აუცილებლად ჩაატარებდა კონცერტებს უშუალოდ ცალკეული სოფლებისთვის.

ამჯერად არბოშიკში გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ჩვენებურები", ახლადშექმნილი ანსამბლი „განთიადი", რომელშიც დედოფლისწყაროს სხვადასხვა სოფლის მაცხოვრებლები გაერთიანდნენ. ისინი სულ სამი თვეა მუშაობენ და მათი დებიუტი წელს ფესტივალ „არტ-გენზე" შედგა. ცეკვა ქართული შეასრულა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „შირაქი". მაყურებლისთვის სიურპრიზი იყო ლიტვასა და ლატვიიდან ჩამოსული ანსამბლების საკმაოდ მრავალფეროვანი საკონცერტო ნომრები. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ანსამბლი „აისვა" (ლიტვა) და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საიმე" (ლატვია). ტრადიციულ სამოსში გამოწყობილმა სტუმრებმა არბოშიკის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას საკუთარი კულტურა გააცნეს და მქუხარე აპლოდისმენტებიც მრავალჯერ დაიმსახურეს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საოცარი ოსტატობით ასრულებდნენ ნომრებს, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი პროფესიონალი მუსიკოსები ან მსახიობები სულაც არ იყვნენ. უბრალოდ, ფოლკლორის მუზეუმის თანამშრომლებმა და სხვადასხვა სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, თავისუფალი დრო ბედნიერად გაატარონ და ამისათვის ანსამბლი შექმნეს. საქართველოში კი საკუთარი შემოქმედების წარსადგენად უკვე რამდენჯერმე ჩამოსვლაც შეძლეს.

სოლომონ გოგაშვილი (კონცერტის ორგანიზატორი): „უკვე 37 წლის ვარ და რაც ცნობიერება მაქვს, მას შემდეგ მახსოვს, რომ კვირიკობის დღესასწაული ერთერთი მნიშვნელოვანი იყო არბოშიკელებისთვის. ამ დღეს ყველა, ვისაც რაიმე შეხება აქვს ამ სოფელთან, ცდილობს, ჩამოვიდეს და აღნიშნოს ეს დღე. ეს ბოლო 25 წელია, ამ სოფელში მასშტაბური ღონისძიება არ მინახია. სულ მინდოდა ლამაზი დღე მეჩუქებინა თანამემამულეებისთვის. ამიტომაც, შანსი ხელიდან არ გავუშვი და ფესტივალ „არტ-გენის" მონაწილეებს ვთხოვე, რომ არბოშიკში ჩამოსულიყვნენ. ყველა მათგანი უანგაროდ დამთანხმდა კონცერტში მონაწილეობაზე. იმედი მაქვს, ტრადიციად იქცევა ამ ქვეყნების კულტურული დაკავშირება. მგონია, რომ კულტურული ღონისძიებები აუცილებელია ნებისმიერი სოფლისთვის. გული იმაზე მწყდება, რომ დღეს მრავლად გვაქვს „ლუდის სახლი", „ვისკის სახლი", „ღვინის სახლი" და რაც ყველაზე მთავარია, აღარ გვაქვს კულტურის სახლები, არადა, ეს სახლები სოფლებში თითქმის საუკუნის წინ შეიქმნა. არბოშიკის კულტურის სახლის შენობაც 80 წლისაა. დღემდეა შემონახული და შეგვიძლია, რომ შევიკრიბოთ და ადამიანებს სულიერი საზრდო მივცეთ".

– „არბოშიკი მდიდარი წარსულით, ლამაზი ტრადიციებით გამოირჩევა და ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ დღეს აქ, სოფლის მოსახლეობასა და ჩამოსულ სტუმრებთან ერთად, აღვნიშნავთ ამ უდიდეს დღესასწაულს. დედოფლისწყაროელებისთვის კვირიკობა არბოშიკთან ასოცირდება და ამიტომაც, მინდა, ყველას მივულოცო ეს დღესასწაული. ყველას გეწეოდეთ წმინდა კვირიკესა და ივლიტას ძალი და მადლი" - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

– „ამ ზონის მოსახლეობისთვის დიდი დღესასწაულია, ამ დროს ხდებოდა ქალ-ვაჟის გაცნობა და დამოყვრება-დანათესავება. ოდითგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დღეს. მართალია, კომუნისტების დროს ბევრი რამ იკრძალებოდა, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ეკლესიაში ასვლას და არ კარგავდნენ ტრადიციას. დღეს ხალხისთვის რომ მოგესმინათ, გაოცდებოდით. რამდენი წელია, ასე არ შეკრებილან და ღონისძიებაზე არ ყოფილან. ყველა ამბობდა, რომ მოენატრათ კულტურული ცხოვრება, ამდენი ბედნიერი სახე, ათეულობით წელია, აღარ გვინახავს. ადრე სპექტაკლებიც იდგმებოდა, უამრავი ანსამბლი იყო შექმნილი, ძალიან კარგი ფოლკლორული გუნდი ჰყავდა არბოშიკს, ჩქეფდა კულტურული ცხოვრება, გულდასაწყვეტია, რომ ახლა ისე აღარ არის," - აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას ირაკლი კიკილაშვილი, რომელიც ათეული წლები არბოშიკის სამუსიკო სკოლას ედგა სათავეში.

კონცერტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების ძალისხმევით შედგა. ღონისძიების ორგანიზატორებმა ლიტველი და ლატვიელი სტუმრები ხატებით დააჯილდოვეს. კონცერტი საფინალო ცეკვით დასრულდა, არბოშიკის ისტორიას კი ერთი ლამაზი და მნიშვნელოვანი დღე შეემატა.

ილია მარტყოფლიშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ნანი ბრეგვაძეს!

ძვირფასო ქალბატონო ნანი, გულწრფელი სიყვარულით მოგილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. დაუჯერებელია თქენი ასაკი. -80 წელი? - წარმოუდგენელია!

კვლავაც ასეთი მხნე, ახალგაზრდული გარეგნობითა და შემართებით იცოცხლეთ კიდევ დიდხანს ჩვენი ქავეყნის საამაყოდ და სასიქადულოდ. თქვენ უაღრესად საინტერესო და შემოქმედებითი წარმატებებით დატვირთული ცხოვრების გზა გაიარეთ. სწორედ ამიტომ, უამრავ ჯილდოსთან ერთად, ჩვენს შორის,თქვენ ერთ-ერთმა პირველთაგანმა სამართლიანად დაიმსახურეთ „საუკუნის ლეგენდის" წოდება. იყავით ბედნიერი თქვენს შთმომავლობასთან ერთად, უფალს ებარებოდეთ!

პატივისცემით,
„საუკუნის ლეგენდის" წოდების მფლობელები:
ნონა გაფრინდაშვილი, მედეა ამირანაშვილი, მანანა ახმეტელი, თამარ მოძღვრიშვილი და ნაირა გორაშვილი.

აბრამ ხარაშვილს!

ბატონო აბრამ, 2 აგვისტოს, ელიაობის დღეს, მნიშვნელოვანი საიუბილეო -90 წელი გისრულდებათ. თქვენ ხანგრძლივი შრომითი ცხოვრების გზა გაიარეთ, რომელიც სავსე იყო წინააღმდეგობებითაც და გამარჯვებებითაც. მუდამ იყავით საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი სავსე სიკეთით და პატიოსნებით. საუკეთესო შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების პატრონი ბრძანდებით. კვლავაც იცოცხლეთ მათ საამაყოდ და საიმედოდ. როგორც დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის უხუცეს წევრს, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, მხნეობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ. უფალი გფარავდეთ.

პატივიცემით,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით:
ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, მარინა ღვინიაშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, დიმიტრი ყოჩიაშვილი და სხვები.

დიმიტრი გონაშვილს!

ჩვენო საყვარელო დიმა! გილოცავთ სტუდენტობას, გისურვებთ წინსვლას სწავლასა და პირად ცხოვრებაში. წარმატებით გაგევლოს შენი ცხოვრების ეს ახალი ეტაპი.

ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ და გვჯერა შენი ნიჭიერების. გვიყვარხარ და გვეიმედები. **დეიდები** მადონა და მარი ბენაშვილები.

გ უ ლ წ რ ფ ე ლ ი მ ა დ ლ ო ბ ა

მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ-ერთი ის დაწესებულებაა ჩვენს მუნიციპალიტეტში, რომელიც ინახავს ჩვენს წარსულს: არქეოლიგიურ ნივთებს, ძველ ხელსაწყოებს, ეთნოგრაფიულ ნივთებს, ძველ ხელნაწერებს და ბევრ სხვა ინფორმაციას. ყოველივე ამას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ისე უნდა მოვლა და შენახვა.

მუზეუმს წლების განმავლობაში ძალიან ბევრი მოსაწესრიგებელი პრობლემა ჰქონდა. იცვლებოდა მთავრობები, იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, მუზეუმისთვის კი არავის ეცალა. მუზეუმს არ ჰქონდა წყალი არც ეზოში და არც შენობაში, არ ჰქონდა გაზი, გათბობა და კიდევ ბევრი რამ.

2013-2016 წლების განმავლობაში მუზეუმის აქტიურ ცხოვრებაში ბევრი სასიხარულო და სასარგებლო საქმე განხორციელდა. მაგალითად, როგორიც არის გაზის შემოყვანა და გამათბობლის შეძენა, თავი სიზმარში გვეგონა, როდესაც გაზი შემოგვიყვანეს და მოვხვდით, რომ შეშის ღუმელიდან გამოსული კვამლი აღარ შეგვაწუხებდა. ჩვენი რაიონის მუზეუმის თანამშრომლებისაგან და მისი დამთვალიერებლებისაგან დიდი მადლობა გამგებელს ნიკოლოზ ჯანაშვილს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ნონა ჯიბლაშვილს მასზედ, რომ დიდი ძალისხმევით და თავდადებით დაგვიდგნენ გვერდით, იზრუნეს ჩვენზე და მუზეუმის კეთილმოწყობისათვის.

შემოგვიყვანეს სასმელი წყალი, ჩასვეს ფონდებში ახალი საცავი, მთლიანად შეცვალეს ელექტრომოწყობილობა შენობაში, რომელიც ქარის ამოვარდნის შემთხვევაში სწრაფად ზიანდებოდა.

ყველაზე დიდი და სანატრელი საჩუქარი, რომელიც მუზეუმების საერთაშორისო დღეს 18 მაისს გადმოგვცეს, ეს არის კომპიუტერი, რომელიც აუცილებელი იყო თანამედროვე ოფისისათვის და თითოეული თანამშრომლის ოცნებაც ახდა. აგრეთვე შეგვიძინეს ფოტოაპარატი, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა ჩვენი რაიონის ისტორიული ძეგლების და ღირსშესანიშნაობების გადასაღებად. ჩატარდა მრავალი ღონისძიება, როგორც ეთნოგრაფიული, ასევე პოეზიის, მხატვრული კითხვის და სხვა. მუზეუმის თანამშრომლის მაყვალა ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ბავშვების ნახატების და ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. აქვე მოეწყო პატარა სანდრო მოსულიშვილის ნახატების გამოფენა, უსინათლო ბავშვების ნახატების გამოფენა. ამ ბოლო დროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ასობით მოსწავლემ დაათვალიერა, როგორც ჩვენი რაიონის, ასევე სხვა რაიონიდანაც.

ჩვენი მუზეუმი ერთადერთი კულტურული ორგანიზაციაა ჩვენს რაიონში, რომელიც აცნობს ჩვენი რაიონის წარსულს დიდსა და პატარას, ინტელიგენტსა და პოლიტიკოსს, მასწავლებელს და ექიმს. გპირდებით, კიდევ ბევრ და მრავალფეროვან ღონისძიებას გაჩუქებთ და მოგანიჭებთ დიდ სულიერ სიამოვნებას.

მუზეუმის სპეციალისტი თამარ ჯავაშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

სასწრაფოდ იყიდება 1200 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მეგობრობის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით:

577 41 72 25, მირიანი

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 01.08		სამშაბათი 02.08		ოთხშაბათი 03.08		ხუთშაბათი 04.08		პარასკევი 05.08		შაბათი 06.08		კვირა 07.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22 °	22 °	24 °	22 °	25 °	24 °	26 °	23 °	26 °	25 °	26 °	24 °	26 °	25 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.